საქართველოს კანონი

სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სფეროში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სპეციალური პენიტენციური სამსახურის (შემდგომ – სამსახური) ორგანიზებას, საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებას, სამსახურში მიღების წესს, მოსამსახურის სტატუსს, მისი უწყვეტი პროფესიული მომზადების სისტემას, სამართლებრივი, უსაფრთხოებისა და სოციალური დაცვის გარანტიებს.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, პატიმრობის კოდექსი, ეს კანონი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

2. სამსახურის ოფიცრისა და რიგითის საქმიანობაზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი (შემდგომ – მინისტრი) უფლებამოსილია ამ კანონის მიზნებისათვის და მის შესასრულებლად გამოსცეს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები.

მუხლი 3. სამსახურის სამართლებრივი სტატუსი

1. სამსახური არის სპეციალური, გასამხედროებული ქვედანაყოფების ერთიანი სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს სამინისტროს სისტემაში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ასრულებს მისთვის დაკისრებულ ამოცანებს პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების რეალიზაციის, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროგრამების განხორციელების, სამართლებრივი რეჟიმის დაცვის, უსაფრთხოების დაცვის, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანის/გადაყვანის და ექსტრადიციის, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შესახებ მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის, კრიზისული ვითარების მართვის და სპეციალური ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

2. სამსახურში მუშაობენ სამსახურის ოფიცრები და რიგითები და სხვა საჯარო მოსამსახურეები.

3. სამსახურის ოფიცერი და რიგითი (შემდგომ – მოსამსახურე) არიან პირები, რომელთა საქმიანობაც მიმართულია სასჯელის უშუალო აღსრულებისაკენ და უზრუნველყოფს ამ კანონის მე-5 მუხლით (გარდა მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტისა) გათვალისწინებული ამოცანების შესრულებას. მოსამსახურეს ენიჭება სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდება.

4. საჯარო მოსამსახურე, რომელიც სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის ან პენიტენციური დაწესებულების სოციალურ სამსახურში მუშაობს ან პენიტენციურ დაწესებულებაში უშუალოდ ასრულებს ლოჯისტიკურ, საფინანსო, ორგანიზაციულ ან სამართლებრივ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ

ფუნქციას, მოსამსახურეთა შემადგენლობაში არ შედის და მასზე არ ვრცელდება ამ კანონის მოქმედება, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5. სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტისა და პენიტენციური დაწესებულების სოციალური სამსახურების საჯარო მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონის 38-ე მუხლით, 39-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-6–მე-8 და მე-10 პუნქტებით და მე-40 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები.

მუხლი 4. სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

1. სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) კანონის უზენაესობა;

ბ) ადამიანის უფლებათა დაცვა და პატივისცემა;

გ) გამჭვირვალობა;

დ) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი;

ე) მოსამსახურის პატივისა და ღირსების დაცვა;

ვ) თანაზომიერება;

ზ) დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვა.

2. კანონის უზენაესობის პრინციპის თანახმად, მოსამსახურის სამსახურებრივი საქმიანობა მიმართული უნდა იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული მიზნის მიღწევისკენ და უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და დადგენილი წესით.

3. მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის სიცოცხლეს, არ უნდა ლახავდეს მის პატივსა და ღირსებას, არ უნდა იყოს დისკრიმინაციული, არ უნდა არღვევდეს ადამიანის რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

4. სამინისტრო ვალდებულია უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით, შეძლებისდაგვარად სწრაფად უზრუნველყოს საზოგადოებისათვის პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ სათანადო, ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. ამასთანავე, სამინისტრო ვალდებულია დაიცვას სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებები, უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვა.

5. მოსამსახურე არ შეიძლება იყოს რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების წევრი. დაუშვებელია, მოსამსახურე თავისი საქმიანობის განხორციელებისას პოლიტიკური შეხედულებით მოქმედებდეს. მოსამსახურის მიერ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელება ან მისი პოლიტიკური შეხედულების ან პარტიული კუთვნილების გამო დასჯა აკრძალულია და იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

6. სახელმწიფო იცავს მოსამსახურის პატივსა და ღირსებას, უზრუნველყოფს მას შრომის ღირსეული პირობებით, სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებით. საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მოსამსახურის ან/და მისი ოჯახის უსაფრთხოებას. მოსამსახურის პატივისა და ღირსების შელახვა აკრძალულია და იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

7. თანაზომიერების პრინციპის თანახმად, ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ძალა და საშუალება აუცილებელი და იმ ინტერესის პროპორციული უნდა იყოს, რომლის დასაცავადაც ხორციელდება უსაფრთხოების ღონისძიება ან მოქმედება.

8. ამ კანონის მიზნებისათვის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვა გულისხმობს მოსამსახურის უფლებას, თავისი თანამდებობრივი ფუნქციების შესასრულებლად შესაბამისი კანონით

გათვალისწინებული უსაფრთხოების ღონისძიებების ფარგლებში, ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან, თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით, ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება შეარჩიოს.

თავი II

სამსახურის ამოცანები

მუხლი 5. სამსახურის ამოცანები

სამსახურის ამოცანებია:

ა) პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებების რეალიზაცია;

ბ) პენიტენციურ დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის დაცვა;

გ) პენიტენციური დაწესებულების დაცვის უზრუნველყოფა;

დ) პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოების დაცვა;

ე) სამინისტროს სისტემის მატერიალური და ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ვ) პენიტენციური დაწესებულების საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა, მონაცემების დამუშავება და ანალიზი;

ზ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოება;

თ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანა და ექსტრადიცია;

ი) პენიტენციურ დაწესებულებაში კრიზისული ვითარების მართვა, ინტერვენციისა და სპეციალური ღონისძიებების განხორციელება;

კ) პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების განხორციელების, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის/რეაბილიტაციის და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ლ) პენიტენციურ დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის დასაცავად თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულება (კერძოდ, პენიტენციური დაწესებულების დღის განრიგის შემუშავება და მის შესრულებაზე ზედამხედველობა) და ამ მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება;

მ) პენიტენციურ დაწესებულებაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დანაშაულის ან/და სხვა სამართალდარღვევის გამოვლენა, აღკვეთა, პრევენცია და უსაფრთხოების დაცვა;

ნ) სამინისტროს სისტემაში არსებული მატერიალური ფასეულობების (მათ შორის, სამინისტროს ბალანსზე რიცხული ობიექტების) დაცვა, შესაბამისი ტექნიკური უსაფრთხოების გეგმების შემუშავება და განხორციელება;

ო) პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოების და დადგენილი რეჟიმის დასაცავად კრიზისული ვითარების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მართვა;

პ) სტიქიური უბედურებისა და სხვა საგანგებო სიტუაციის დროს ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე მოსამსახურეთა განსაკუთრებულ რეჟიმზე გადაყვანის უზრუნველყოფა;

ჟ) ბრალდებულის/მსჯავრდებულის ტრანსპორტირების, აგრეთვე პენიტენციურ დაწესებულებაში

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმდინარე და გაძლიერებული ღონისძიებების გეგმების შემუშავება და განხორციელება;

რ) მოსამსახურეთა, სამინისტროს სამოქალაქო სამსახურის მოსამსახურეთა, აგრეთვე მათი ოჯახის წევრთა უსაფრთხოების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფა.

თავი III

სამსახურის ორგანიზება, ხელმძღვანელობა და კონტროლი

მუხლი 6. სამსახურის ორგანიზება

1. სამსახური აერთიანებს პენიტენციურ დაწესებულებებს და სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს – პენიტენციურ დეპარტამენტს (შემდგომ – დეპარტამენტი) და ანალიტიკურ დეპარტამენტს.

2. დეპარტამენტი ახორციელებს პენიტენციურ დაწესებულებათა ერთიან მართვას, პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა უფლებების რეალიზაციას, სამართლებრივი რეჟიმის დაცვას, შიდა უსაფრთხოებისა და გარე დაცვის უზრუნველყოფას, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანას/გადაყვანას და ექსტრადიციას, პენიტენციური დაწესებულებების საინფორმაციო-ანალიტიკურ უზრუნველყოფას და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. ანალიტიკური დეპარტამენტი უზრუნველყოფს დეპარტამენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს.

4. პენიტენციური დაწესებულება უზრუნველყოფს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის უშუალო აღსრულებას. პენიტენციური დაწესებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში დეპარტამენტს ექვემდებარება.

მუხლი 7. სამსახურის ხელმძღვანელობა და კონტროლი

1. სამსახური ექვემდებარება მინისტრს, აგრეთვე მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ მინისტრის მოადგილეს.

2. მინისტრს უფლება აქვს, სამსახურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ (მათ შორის, უმცროსი და საშუალო სპეციალური წოდებების მინიჭების) საკითხებზე, გარდა საკადრო საკითხებისა, თავისი უფლებამოსილების დელეგირება მოახდინოს დეპარტამენტის დირექტორზე.

3. სამსახურის სამსახურებრივ შემოწმებას და ბრალდებულის/ მსჯავრდებულის უფლებების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს სამინისტროს გენერალური ინსპექცია.

თავი IV

სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესები

მუხლი 8. სამსახურში მიღების წესი, მოსამსახურის სერტიფიცირება

1. სამსახურში სამუშაოდ მიიღება 18 წელს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლება მაინც, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და პიროვნული თვისებებით, განათლებით, ფიზიკური მომზადებითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები.

2. სამსახურში სამუშაოდ მისაღები კანდიდატი, როგორც წესი, სპეციალური კონკურსის საფუძველზე შეირჩევა. შერჩეულ კანდიდატს ენიჭება კურსანტის სტატუსი.

3. კურსანტი დადგენილ ვადაში გადის სავალდებულო სპეციალური პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში (შემდგომ – სასწავლო ცენტრი).

4. სავალდებულო სპეციალური პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსის გავლის შემდეგ კურსანტი აბარებს გამოცდას. გამოცდის შედეგების მიხედვით მას ეძლევა შესაბამისი დონის სერტიფიკატი, ენიჭება სახელმწიფო სპეციალური წოდება და ინიშნება სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე. სერტიფიკატის მოქმედების ვადაა 3 წელი.

5. სავალდებულო სპეციალური პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსი სხვა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებთან ერთად უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სწავლებას, ხოლო იმ მოსამსახურისათვის, რომელიც არასრულწლოვან ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან მუშაობს, უნდა მოიცავდეს სპეციალურ კურსებს პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში.

6. სამსახურში სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმის საფუძველია კურსანტის მიერ სავალდებულო პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსის გავლის შემდეგ ჩაბარებული გამოცდის შედეგების მიხედვით სერტიფიკატის მიუღებლობა.

7. მოსამსახურე სერტიფიკატის განახლების მიზნით 3 წელიწადში ერთხელ გადის კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების შესაბამის კურსებს, რის შემდეგაც აბარებს გამოცდებს. გამოცდების შედეგების საფუძველზე ხდება მოსამსახურის სერტიფიკატის განახლება. თუ გამოცდების შედეგების საფუძველზე მოსამსახურემ სერტიფიკატი ვერ განაახლა, იგი სამსახურიდან თავისუფლდება.

8. სპეციალური კონკურსის ჩატარების წესს, სავალდებულო სპეციალური პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსის სახეებსა და გავლის წესს, აგრეთვე სერტიფიცირებისა და პერიოდული გადამზადების წესს ადგენს მინისტრი.

9. სამსახურის იმ თანამდებობათა ნუსხას, რომლებზედაც პირები სპეციალური კონკურსის გარეშე ინიშნებიან, აგრეთვე თანამდებობებზე უკონკურსოდ დანიშვნის წესს ადგენს მინისტრი.

მუხლი 9. მოსამსახურის ფიცი

სამსახურში სამუშაოდ პირველად მიღებული პირი დებს და ხელმოწერით ადასტურებს ფიცს: „ვაცნობიერებ საქართველოს წინაშე ჩემთვის დაკისრებულ უდიდეს პასუხისმგებლობას და ვფიცავ, ერთგულად ვემსახურო საქართველოს, განუხრელად დავიცვა საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, პატივი ვცე ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, კეთილსინდისიერად შევასრულო ჩემი მოვალეობები.“.

მუხლი 10. სამსახურში მიღებასთან და სამსახურის გავლასთან დაკავშირებული შეზღუდვები

1. სამსახურში სამუშაოდ არ მიიღება:

ა) განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი;

ბ) პირი, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს;

გ) პირი, რომელიც სასამართლომ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) პირი, რომელსაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

ე) პირი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამედიცინო დასკვნის თანახმად, არ აკმაყოფილებს შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებს;

ვ) პირი, რომელიც შესაბამისი თანამდებობის დაკავების შემთხვევაში უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით დაუკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს;

ზ) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, გარდა კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისისა.

2. მოსამსახურეს უფლება არა აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა რომელიმე სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში ან კერძო დაწესებულებაში, აგრეთვე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან/და შემოქმედებითი საქმიანობისა. მოსამსახურის მიერ შეთავსებით სხვა თანამდებობის დაკავება დასაშვებია მხოლოდ იმავე სახელმწიფო დაწესებულების სისტემაში.

მუხლი 11. მოსამსახურის წახალისება

1. სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის მოსამსახურის მიმართ გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ფულადი პრემიის მიცემა;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) სამინისტროს სიგელით დაჯილდოება;

ე) სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;

ვ) სამინისტროს მედალიონით დაჯილდოება;

ზ) სამინისტროს მედლით დაჯილდოება;

თ) მორიგი სახელმწიფო სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება;

ი) დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;

კ) სამოქალაქო ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღით დაჯილდოება.

2. ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოსამსახურის წახალისების რამდენიმე ფორმა.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის მოსამსახურე შეიძლება წარდგენილ იქნეს სახელმწიფო ჯილდოზე.

4. მოსამსახურის წახალისების წესს ადგენს მინისტრი.

მუხლი 12. მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური სახდელები

1. მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომაა:

ა) სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

ბ) სამინისტროსათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეულად შექმნა;

გ) ზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოსამსახურისა და სამინისტროს სისტემის დისკრედიტაციისკენ

მიმართული უღირსი საქციელის (ბრალეული ქმედების) ჩადენა, განურჩევლად იმისა, სამსახურშია იგი ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ;

დ) საქართველოს კანონმდებლობის, უშუალო ან/და ზემდგომი ხელმძღვანელის კანონიერი მითითების შეუსრულებლობა;

ე) მოსამსახურეთათვის დადგენილი ეთიკის ნორმების დარღვევა.

2. დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის მოსამსახურეს შეიძლება დაეკისროს შემდეგი დისციპლინური სახდელები:

ა) შენიშვნა;

ბ) გაფრთხილება;

გ) საყვედური;

დ) სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა;

ე) სახელმწიფო სპეციალური წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება;

ვ) არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;

ზ) თანამდებობიდან ჩამოქვეითება;

თ) სამსახურიდან დათხოვნა/გათავისუფლება.

3. დაუშვებელია ერთი დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის მოსამსახურისთვის ორი ან ორზე მეტი დისციპლინური სახდელის დაკისრება.

4. მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსსა და დისციპლინურ წესდებას ამტკიცებს მინისტრი.

თავი V

სახელმწიფო სპეციალური წოდებები

მუხლი 13. სახელმწიფო სპეციალური წოდებების მქონე თანამდებობების ზღვრული სპეციალური წოდებები

სახელმწიფო სპეციალური წოდებების მქონე თანამდებობების ზღვრულ სპეციალურ წოდებებს განსაზღვრავს მინისტრი.

მუხლი 14. სახელმწიფო სპეციალური წოდება

1. მოსამსახურეს სახელმწიფო სპეციალური წოდება ენიჭება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სახელმწიფო სპეციალურ წოდებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონითა და მინისტრის ბრძანებით.

თავი VI

მოსამსახურის უფლება-მოვალეობები, სამსახურის გავლის პირობები

მუხლი 15. მოსამსახურის უფლება-მოვალეობები

1. მოსამსახურე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას წარმოადგენს სახელმწიფოს.

2. მოსამსახურეს უფლება აქვს:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად;

ბ) დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია თანამდებობრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად;

გ) უზრუნველყოფილი იყოს თანამდებობრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებებითა და პირობებით;

დ) უშუალო ხელმძღვანელს წარუდგინოს წინადადებები თავისი სამსახურებრივი საქმიანობის სრულყოფის შესახებ და მიიღოს მუშაობისათვის აუცილებელი კონსულტაციები;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენოს ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად;

ვ) განახორციელოს მისთვის საქართველოს კანონმდებლობითა და თანამდებობრივი ინსტრუქციით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

3. მოსამსახურე ვალდებულია:

ა) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიცვას ბრალდებულის/მსჯავრდებულის და სხვა პირის კანონიერი უფლებები;

ბ) პირნათლად შეასრულოს მისთვის თანამდებობრივი ინსტრუქციით დაკისრებული მოვალეობები;

გ) დაიცვას პროფესიული ეთიკის წესები;

დ) სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც მის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდება;

ე) შეასრულოს ხელმძღვანელის კანონიერი ბრძანება, განკარგულება და მითითება;

ვ) დაიცვას შინაგანაწესის მოთხოვნები;

ზ) გაუფრთხილდეს სახელმწიფო საკუთრებას, დაიცვას მატერიალური ფასეულობები;

თ) შეასრულოს მისთვის საქართველოს კანონმდებლობითა და თანამდებობრივი ინსტრუქციით დაკისრებული სხვა მოვალეობები.

4. მოსამსახურის სხვა უფლება-მოვალეობები მისი თანამდებობრივი ფუნქციების შესაბამისად განისაზღვრება მოსამსახურის თანამდებობრივი ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

5. მოსამსახურის მიერ ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და მოსამსახურის თანამდებობრივი ინსტრუქციით.

მუხლი 16. მოსამსახურის სამუშაო დრო

1. მოსამსახურისათვის დადგენილია არაუმეტეს 48-საათიანი სამუშაო კვირა და არანორმირებული სამუშაო დღე.

2. მოსამსახურისათვის (გარდა ცვლაში მომუშავე მოსამსახურისა) უქმე და დასვენების დღეებში მუშაობა ნებაყოფლობითია. ასეთ შემთხვევაში მას ანაზღაურება ეძლევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ცვლაში მომუშავე მოსამსახურის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომლებსაც განსაზღვრავს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი.

4. ცვლაში მომუშავე მოსამსახურეებისათვის დგინდება თანაბარი ხანგრძლივობის ცვლები.

5. მინისტრის ბრძანებით მოსამსახურეები შეიძლება განსაკუთრებულ რეჟიმზე იქნენ გადაყვანილი.

მუხლი 17. მოსამსახურის შვებულება

1. მოსამსახურისათვის დადგენილია შვებულების შემდეგი სახეები:

ა) ყოველწლიური ანაზღაურებადი;

ბ) მოკლევადიანი დამატებითი;

გ) ანაზღაურებისგარეშე;

დ) სასწავლო;

ე) ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო.

2. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, დასაშვებია მოსამსახურის შვებულების შეწყვეტა და სამსახურის გასაგრძელებლად მისი გამოძახება, გარდა მოსამსახურის ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შვებულებაში ყოფნის შემთხვევისა.

3. მოსამსახურეს შვებულება ეძლევა მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირის ბრძანებით.

მუხლი 18. მოსამსახურის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება

1. მოსამსახურეს ეძლევა ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით.

2. მოსამსახურის ყოველწლიურ ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნისას დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი ამ შვებულების ანგარიშში არ ჩაითვლება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანაზღაურდება.

3. ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება მოსამსახურეს ეძლევა კალენდარული წლის განმავლობაში შვებულებების გრაფიკის შესაბამისად. წინა წლის გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულება მოსამსახურეს შეიძლება მიეცეს მომდევნო წლის პირველ კვარტალში. ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა თანამდებობაზე ახალდანიშნული მოსამსახურისათვის ნამსახურები დღეების პროპორციულად გამოითვლება: ორ-ნახევარი დღე სამსახურში მიღების დღიდან ყოველ სრულ თვეზე.

მუხლი 19. მოსამსახურის მოკლევადიანი დამატებითი შვებულება

1. მოსამსახურეს, რომელსაც ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება გამოყენებული აქვს, განსაკუთრებული გარემოების გამო 1 წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეს მოკლევადიანი დამატებითი შვებულება არაუმეტეს 10 დღისა.

2. მოსამსახურის მოკლევადიანი დამატებითი შვებულება ანაზღაურებადია და ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ანგარიშში არ ითვლება.

მუხლი 20. მოსამსახურის ანაზღაურებისგარეშე შვებულება

მოსამსახურეს შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიეცეს ანაზღაურებისგარეშე შვებულება არაუმეტეს 1 წლისა.

მუხლი 21. მოსამსახურის სასწავლო შვებულება

1. მოსამსახურეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად 2 წელიწადში ერთხელ შეიძლება მიეცეს სასწავლო შვებულება არაუმეტეს 3 თვისა, თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით.

2. თუ მოსამსახურეს სასწავლო შვებულება სამინისტროს ინიციატივით ეძლევა, მას სრულად უნაზღაურდება სასწავლო შვებულებასთან დაკავშირებული შესაბამისი ხარჯები.

მუხლი 22. მოსამსახურის ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება, დახმარება და კომპენსაცია

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება, დახმარება და კომპენსაცია მოსამსახურეს ეძლევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 23. მოსამსახურის სპეციალური ფორმის ტანსაცმელი (უნიფორმა)

1. მოსამსახურე სამსახურებრივ უფლებამოსილებას, როგორც წესი, სპეციალური ფორმის ტანსაცმლით (უნიფორმით) ახორციელებს.

2. მოსამსახურის სპეციალური ფორმის ტანსაცმლის (უნიფორმის) ნიმუშებს, განმასხვავებელ ნიშნებსა და ემბლემებს ამტკიცებს მინისტრი.

მუხლი 24. მოსამსახურის პროფესიული დღე

მოსამსახურის პროფესიული დღე აღინიშნება ყოველი წლის 8 სექტემბერს.

მუხლი 25. გაფიცვა

მოსამსახურეს ეკრძალება გაფიცვა და მასში მონაწილეობა.

თავი VII

მოსამსახურის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა, სამსახურიდან დათხოვნა/გათავისუფლება

მუხლი 26. მოსამსახურის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება

1. მოსამსახურის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება ნიშნავს მოსამსახურის დროებით გათავისუფლებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და სამინისტროს გათავისუფლებას მოსამსახურის სამსახურით უზრუნველყოფის მოვალეობისაგან.

2. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში მოსამსახურეს კანონით დადგენილ შემთხვევებში (გარდა ამ კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა) და დადგენილი წესით უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო და დანამატები ან/და ეძლევა სხვა კომპენსაცია.

მუხლი 27. მოსამსახურის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლები

მოსამსახურის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლებია:

ა) მოსამსახურის წერილობითი პატაკი (განცხადება), თუ მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირი სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების წინააღმდეგი არ არის;

ბ) მოსამსახურის შვებულება;

გ) მოსამსახურის დროებითი შრომისუუნარობა;

დ) მოსამსახურის კანდიდატად წარდგენა საპრეზიდენტო ან წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში, თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ე) მოსამსახურის სამსახურისგან ჩამოშორება ამ კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტით და 29-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე სხვა კანონიერი საფუძვლით;

ვ) მოსამსახურის კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული გადამზადება;

ზ) კანონის შესაბამისად ან კანონის საფუძველზე მოსამსახურის დროებითი გათავისუფლების სხვა შემთხვევა;

თ) მოსამსახურის კადრების განკარგულებაში აყვანა;

ი) ამ კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.

მუხლი 28. ნასვამი მოსამსახურის სამსახურისგან ჩამოშორება

1. უშუალო ან ზემდგომი ხელმძღვანელი, თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მოსამსახურე ნასვამია, მოსამსახურეს მოცემული სამუშაო დღის განმავლობაში სამსახურს ჩამოაშორებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სამსახურისგან ჩამოშორებულ მოსამსახურეს არ ეძლევა ხელფასი სამსახურისგან ჩამოშორების პერიოდისათვის.

მუხლი 29. მოსამსახურის სამსახურისგან ჩამოშორება დისციპლინური წარმოებისას

1. პირს, რომელსაც უფლება აქვს, მოსამსახურეს დისციპლინური სახდელი დააკისროს, შეუძლია მოსამსახურე დისციპლინური წარმოებისას სამსახურს ჩამოაშოროს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სამსახურისგან ჩამოშორებულ მოსამსახურეს უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო და დანამატები.

მუხლი 30. მოსამსახურის თანამდებობიდან დროებით გადაყენება

1. მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირმა მოსამსახურე შეიძლება დროებით გადააყენოს თანამდებობიდან მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გამო, ამ სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2. თანამდებობიდან დროებით გადაყენებული მოსამსახურე გამართლების შემთხვევაში უნდა აღდგეს ბოლოს დაკავებულ თანამდებობაზე, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – მის ტოლფას თანამდებობაზე. გამართლებულ მოსამსახურეს უნაზღაურდება თანამდებობაზე იძულებით არყოფნის მთელ პერიოდში მიუღებელი თანამდებობრივი სარგო.

მუხლი 31. მოსამსახურის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები

მოსამსახურის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) სამსახურიდან დათხოვნა;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

გ) კანონით დადგენილი წესით უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;

დ) კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლა;

ე) გარდაცვალება.

მუხლი 32. მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნა/გათავისუფლება

1. მოსამსახურე შეიძლება სამსახურიდან დათხოვნილ/გათავისუფლებულ იქნეს:

ა) სხვა დაწესებულებაში გადასვლის გამო;

ბ) სამსახურში სამუშაოდ მიღებისას დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამო;

გ) იმ დოკუმენტის არქონის გამო, რომელიც აუცილებელია შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად;

დ) დაწესებულების ან სტრუქტურული ერთეულის ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო;

ე) სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი სხვა მოსამსახურის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში;

ვ) ატესტაციის შედეგების საფუძველზე;

ზ) სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწევის გამო;

თ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო;

ი) ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო;

კ) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;

ლ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რომელიც არ აძლევს საშუალებას, სათანადოდ შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობა;

მ) არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო;

ნ) პირადი პატაკის საფუძველზე;

ო) კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო;

პ) სერტიფიკატის განუახლებლობის გამო, სერტიფიკატის განახლების მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში;

ჟ) პროფესიული გადამზადების კურსების არადამაკმაყოფილებლად გავლის გამო;

რ) საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილ ნივთიერებათა მოხმარების დადასტურების შემთხვევაში, გარდა მის მიერ ამ ნივთიერებათა სამკურნალო მიზნით მოხმარებისა;

ს) საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მოხმარების ფაქტზე პერიოდული, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმებაზე უარის თქმის შემთხვევაში;

ტ) თანამდებობრივი შეუთავსებლობის გამო;

უ) საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული სხვა საფუძვლით.

2. სამსახურიდან დათხოვნილი/გათავისუფლებული მოსამსახურე ვალდებულია დააბრუნოს მასზე სამსახურებრივად განპიროვნებული მატერიალური ფასეულობანი.

მუხლი 33. მოსამსახურის კადრების განკარგულებაში აყვანა

1. თანამდებობიდან გათავისუფლებული მოსამსახურე საამისოდ უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით:

ა) შტატების შემცირების დროს ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება;

ბ) დაწესებულების ან სტრუქტურული ერთეულის ლიკვიდაციის დროს;

გ) პირადი პატაკის საფუძველზე.

2. კადრების განკარგულებაში აყვანილ მოსამსახურეს შეიძლება დაეკისროს მოვალეობის დროებით შესრულება.

3. კადრების განკარგულებაში აყვანილი მოსამსახურე კადრების განკარგულებაში აყვანის დღიდან ითვლება სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო შეწყვეტის შესახებ გაფრთხილებულად.

მუხლი 34. საშუალო, უფროსი და უმაღლესი სპეციალური წოდებების მქონე მოსამსახურეების სამსახურიდან დათხოვნის თავისებურებანი

საშუალო, უფროსი ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურე შეიძლება სამსახურიდან დათხოვნილ იქნეს:

ა) საქართველოს სამხედრო ძალების თადარიგში, თუ მოსამსახურეს „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული სამხედრო სამსახურის ზღვრული ასაკისათვის არ მიუღწევია;

ბ) ასაკის გამო გადადგომით – მოსამსახურის მიერ სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწევისას თადარიგში ყოფნით;

გ) ავადმყოფობის გამო გადადგომით – სამედიცინო კომისიის მიერ სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად მიჩნეული მოსამსახურის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნით.

მუხლი 35. მოსამსახურის ასაკობრივი შეზღუდვა

1. მოსამსახურეს, რომელსაც უმცროსი სპეციალური წოდება აქვს, შეუძლია სამსახურში 60 წლის ჩათვლით იმსახუროს.

2. მოსამსახურეს, რომელსაც საშუალო ან უფროსი სპეციალური წოდება აქვს, შეუძლია სამსახურში შემდეგი ასაკის მიღწევამდე იმსახუროს:

ა) იუსტიციის უმცროსი ლეიტენანტი – იუსტიციის კაპიტანი – 55 წლის ჩათვლით (თადარიგში ყოფნით); 60 წლის ჩათვლით (გადადგომით);

ბ) იუსტიციის მაიორი – იუსტიციის პოლკოვნიკი – 60 წლის ჩათვლით (თადარიგში ყოფნით); 65 წლის ჩათვლით (გადადგომით).

3. სამსახურში ყოფნის ზღვრულ ასაკს მიღწეული მოსამსახურე ექვემდებარება სამსახურიდან გათავისუფლებას, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, სამედიცინო დასკვნის გათვალისწინებით, მინისტრის ბრძანებით, იუსტიციის პოლკოვნიკის სპეციალური წოდების მქონე, სამსახურში ყოფნის ზღვრულ ასაკს მიღწეულ მოსამსახურეს, მისივე თანხმობით, შეიძლება გაუგრძელდეს სამსახურის ვადა 5 წლამდე ვადით.

5. სამსახურის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ გამორიცხავს მოსამსახურის სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლით გათავისუფლების შესაძლებლობას.

თავი VIII

მოსამსახურის სამსახურში აღდგენა

მუხლი 36. მოსამსახურის სამსახურში აღდგენის საფუძვლები

1. მოსამსახურე, რომელიც სამსახურიდან უკანონოდ იქნა დათხოვნილი/გათავისუფლებული, ექვემდებარება სამსახურში აღდგენას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე მოსამსახურის აღდგენის საფუძველია სამსახურებრივი შემოწმების დასკვნა ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, აგრეთვე გამართლებული პირის განცხადება სამსახურში აღდგენის შესახებ.

მუხლი 37. მოსამსახურის სამსახურში აღდგენა

1. სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი/გათავისუფლებული მოსამსახურე უფლებამოსილია მოითხოვოს დათხოვნის/გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, დათხოვნის/გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. მოსამსახურეს იძულებით გაცდენილი პერიოდისათვის ხელფასი მიეცემა არაუმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

2. მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის/გათავისუფლების ან გადაყვანის შესახებ გამოცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ არაკანონიერად ცნობის შემთხვევაში მოსამსახურე ექვემდებარება სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი უარს ამბობს სამსახურში აღდგენაზე.

3. მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის/გათავისუფლების ან გადაყვანის შესახებ გამოცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ ბათილად ცნობა არ იწვევს მოსამსახურის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს მოსამსახურის

სამსახურიდან დათხოვნასთან/გათავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოსამსახურეს მის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსამსახურე სამსახურში აღდგება. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

4. ამ კანონის შესაბამისად თანამდებობიდან გადაყენებული მოსამსახურე სამსახურში აღდგენას ექვემდებარება პირადი განცხადების საფუძველზე, სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის არსებობის შემთხვევაში.

5. მოსამსახურის სამსახურში აღდგენა ხდება ბოლოს დაკავებულ თანამდებობაზე ან მის ტოლფას თანამდებობაზე, მისივე თანხმობით.

თავი IX

მოსამსახურის სამართლებრივი, უსაფრთხოებისა და სოციალური დაცვის გარანტიები

მუხლი 38. მოსამსახურის სამართლებრივი და უსაფრთხოების დაცვის გარანტიები

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია და მას სახელმწიფო იცავს. მოსამსახურის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესაბამისი მოთხოვნის შესრულება ყველასთვის სავალდებულოა.

2. მოსამსახურის სამსახურებრივ საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურისათვის ხელის შეშლა, მისი პატივისა და ღირსების შელახვა, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, მის მიმართ მუქარა, ძალადობა ან მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

4. მოსამსახურემ, რომელმაც იცის ან შეიძლება იცოდეს აშკარად უკანონო ბრძანების/დავალების შესახებ, უარი უნდა თქვას მის შესრულებაზე და უნდა აცნობოს სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და საგამოძიებო დეპარტამენტს.

5. მოსამსახურეს უფლება აქვს, თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

6. მოსამსახურის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მისთვის ან/და მისი ოჯახის წევრისთვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში მოსამსახურის ან/და მისი ოჯახის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით.

მუხლი 39. მოსამსახურის სოციალური დაცვა

1. მოსამსახურის სოციალურ დაცვას სახელმწიფო უზრუნველყოფს.

2. მოსამსახურე ექვემდებარება სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას. ამასთანავე, შესაძლებელია მოსამსახურის მეუღლისა და არასრულწლოვანი შვილების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით დაზღვევა.

3. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მოსამსახურეს 2 თვის განმავლობაში უნარჩუნდება ბოლოს დაკავებული თანამდებობის შესაბამისი ხელფასი.

4. მოსამსახურეს, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებას ან საკუთარ სატრანსპორტო საშუალებას იყენებს, საწვავით სახელმწიფო უზრუნველყოფს.

5. მოსამსახურეს სამსახურებრივი საქმიანობისათვის:

ა) მიეცემა ხელფასი, რომელიც მოიცავს თანამდებობრივ სარგოს და სახელმწიფო სპეციალური წოდებისათვის დადგენილ დანამატს;

ბ) შეიძლება მიეცეს ხელფასზე ყოველთვიური დანამატი ნამსახურები წლებისათვის (ნამსახურების წლებში ჩაითვლება სამხედრო ან/და სახელმწიფო სპეციალური წოდებით ნამსახურები წლები, მათ შორის, საქართველოს სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახური, გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურისა);

გ) შეიძლება მიეცეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატები და კომპენსაცია.

6. მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანი სრულად აუნაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.

7. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება არაუმეტეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარისა. მოსამსახურის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

8. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში მინისტრის სამართლებრივი აქტით მას ეძლევა ერთჯერადი დახმარება შემდეგი ოდენობით:

ა) ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისას – 7 000 (შვიდი ათასი) ლარი;

ბ) ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისას – 4 000 (ოთხი ათასი) ლარი;

გ) ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებისას – 2 000 (ორი ათასი) ლარი.

9. მოსამსახურისათვის ნამსახურები წლებისათვის ხელფასზე ყოველთვიური დანამატის ოდენობას, სახელმ-წიფო სპეციალური წოდებისათვის დანამატის ოდენობას, აგრეთვე მოსამსახურისათვის სხვა დანამატის დანიშვნისა და გაცემის წესს ადგენს მინისტრი.

10. დეპარტამენტისა და პენიტენციური დაწესებულების სოციალური სამსახურების მოსამსახურეთა დანამატების ოდენობებსა და გაცემის წესს ადგენს მინისტრი.

მუხლი 40. სახელმწიფო კომპენსაცია, სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიები და შეღავათები

1. მოსამსახურეს და მისი ოჯახის წევრს სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნებათ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.

2. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, მინისტრის ბრძანებით, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე მოსამსახურისათვის შეიძლება განისაზღვროს ამ კანონით გაუთვალისწინებელი სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიები და შეღავათები.

თავი X

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 41. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებები

1. მინისტრმა 2015 წლის 1 სექტემბრამდე გამოსცეს ამ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

2. სასწავლო ცენტრმა 2015 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს სერტიფიცირებისათვის საჭირო პროგრამების შემუშავება და მინისტრისათვის წარდგენა, აგრეთვე განახორციელოს მათი მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებში დანერგვა.

3. ის პირი, რომელიც 2015 წლის 1 ივნისისთვის არის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოს მოსამსახურე და სამსახურებრივ საქმიანობას ახორციელებს სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების მთავარ სამმართველოში, უსაფრთხოების მთავარ სამმართველოში, სპეციალური აღრიცხვის სამმართველოში ან გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარ სამმართველოში, რეორგანიზაციისას/ლიკვიდაციისას შესაძლებელია მისივე თანხმობით, უკონკურსოდ გადაყვანილ იქნეს სამსახურში სხვა თანამდებობაზე მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირის ბრძანების საფუძველზე, ამ კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობებით. აღნიშნულ მოსამსახურეს უნარჩუნდება სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდება. მისთვის მორიგი სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონით.

4. ის პირი, რომელიც 2015 წლის 1 ივნისისთვის არის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოს მოსამსახურე და სამსახურებრივ საქმიანობას ახორციელებს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილებაში, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებაში, სპეციალური აღრიცხვის განყოფილებაში ან სამორიგეოში, რეორგანიზაციისას/ლიკვიდაციისას შესაძლებელია მისივე თანხმობით, უკონკურსოდ გადაყვანილ იქნეს სამსახურში სხვა თანამდებობაზე, მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირის ბრძანების საფუძველზე, ამ კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობებით. აღნიშნულ მოსამსახურეს უნარჩუნდება სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდება. მისთვის მორიგი სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით.

5. თუ მოსამსახურე უარს განაცხადებს შეთავაზებულ თანამდებობაზე გადაყვანაზე, მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირს შეუძლია მოსამსახურე გაათავისუფლოს სამსახურიდან ლიკვიდაციის გამო. ლიკვიდაციის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში მოსამსახურეს უნდა მიეცეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაცია.

6. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული მოსამსახურეები (გარდა ამ კანონის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული თანამდებობის პირებისა) თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მუშაობას აგრძელებენ ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული სერტიფიკატის მიღებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2017 წლის 1 იანვრისა. სერტიფიცირების გავლაზე უარის თქმა ან სერტიფიკატის მიუღებლობა მოსამსახურის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია.

7. სამინისტრომ უზრუნველყოს ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 42. მოსამსახურის სერტიფიცირებასა და გადამზადებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგება

1. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოს ის მოსამსახურეები, რომლებიც სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემდეგ მუშაობას სამსახურში განაგრძობენ, ვალდებული არიან, 2017 წლის 1 იანვრამდე, მინისტრის მიერ დადგენილი წესით გაიარონ სერტიფიცირება სასწავლო ცენტრში, თუ, ამ კანონის მე-8 მუხლის თანახმად, მათი თანამდებობებისათვის სერტიფიკატი მოითხოვება.

2. სამინისტრომ უზრუნველყოს შესაბამისი პირობების შექმნა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირთა დადგენილ ვადაში სერტიფიცირებისათვის მოსამზადებლად.

3. მინისტრმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს მოსამსახურეთა გადამზადებისა და სერტიფიცირების გრაფიკი.

მუხლი 43. მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის დროებითი წესი

1. 2015 წლის 1 ოქტომბრამდე მინისტრსა და დეპარტამენტის დირექტორს უფლება აქვთ, განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც მოსამსახურის არყოფნამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას დეპარტამენტის ან/და პენიტენციური დაწესებულების მიერ მისთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უკონკურსოდ დანიშნონ თანამდებობაზე შესაბამისი მოსამსახურე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თანამდებობაზე დანიშნული მოსამსახურეები (გარდა ამ კანონის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული თანამდებობის პირებისა) თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მუშაობას აგრძელებენ ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული სერტიფიკატის მიღებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2017 წლის 1 იანვრისა. სერტიფიცირების გავლაზე უარის თქმა ან სერტიფიკატის მიუღებლობა მოსამსახურის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია.

მუხლი 44. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-8 მუხლისა, ამოქმედდეს 2015 წლის 1 ივლისიდან.

2. ამ კანონის მე-8 მუხლი ამოქმედდეს 2015 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

1 მაისი 2015 წ.

N3524-IIს